ოქმი:**ო63. 6323118001**
თარიღი:**28/04/2023**

სამტრედიის მუნიციპალური

გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ო ქ მ ი N01

ქ. სამტრედია 26 აპრილი, 2023 წელი

2023 წლის 26 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, ნათია პაპავას ხელმძღვანელობით, ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

ნათია პაპავა, ნუგზარ ჯამბურია , ვაჟა სტურუა, ტარიელ ცომაია, მერაბ უღრელიძე, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, თამილა კეკელიძე, სოფიკო ახობაძე, სოფიო კირთაძე, იზოლდა ნადირაძე, მაკა ხარებავა, ლევან გაბეჩავა.

სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. **,,სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის“ საფუძველზე, 2023 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული ღონისძიებების ანგარიშის შესახებ.**

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნათია პაპავა /

2. **2023 წლის, მეორე კვარტალში განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ.**

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნათია პაპავა /

3. **სხვადასხვა.**

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (14 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა, ნათია პაპავამ, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს წარუდგინა ანგარიში ,,სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის“ საფუძველზე, 2023 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2022 წელი, საბჭომ შესანიშნავი ღონისძიებით დაასრულა. საბჭოს სახელით მივმართეთ მერს თხოვნით, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის განკუთვნილი თანხაზე, შესაძლებლობის ფარგლებში თანხის დამატებასთან დაკავშირებით. ჩვენი თხოვნა დაკმაყოფილდა და 13 000 ლარით, საახალწლოდ, 130 მრავალშვილიან ოჯახს გადავეცით სასურსათო ამანათი.

სასიხარულო ფაქტია ისიც, რომ მიმდინარე წლიდან, მერიის სოციალური სამსახურის ბიუჯეტში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის განკუთვნილი თანხა გაიზარდა 8 000 ლარით და შეადგენს 13 000 ლარს.

საბჭოს წევრები მაქსიმალურად ვიყავით ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტივობებსა და ღონისძიებებში. თებერვალში, ვესწრებოდით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამართულ სოფლის კრებებს, რომელზეც ხდებოდა სოფლის პრიორიტეტების განსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ კრებები ქალებისათვის ხელსაყრელ დროს ტარდებოდა და აქედან გამომდინარე, ქალების აქტიურობაც შეიმჩნეოდა. არაერთი ინიციატივის ავტორი იყო ქალი და მათი წინადადებებიც იქნა გათვალისწინებული.

მარტის თვეში საბჭოს წევრები შევუერთდით ქალთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, რომლებიც მერიის კულტურის სამსახურის მიერ იყო ორგანიზებული. მოეწყო ფერწერული და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა ,,მირკაანი-2023"; ჩატარდა კონცერტი, რომელზეც მოწვეული იყვნენ ქალბატონები.

საბჭოს წევრთა ინიციატივით, აპარატის თანამშრომლებთან ერთად ავღნიშნეთ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე. ცნობადობის ამაღლების მიზნით დავარიგეთ საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები.

წყლის რესურსების დაცვის და დედამიწის საერთაშორისო დღეს, მონაწილეობა მივიღეთ დასუფთავების აქციაში და დავასუფთავეთ ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთთეულში, ხუნჯულაურში, წყაროსთან მდებარე სკვერი.

ორგანიზაციამ ,,ვაკეთოთ ერთად“ შეხვედრა გამართა იანეთის უბანში მცხოვრებ რეპატრიანტ მესხებთან, მესამე საჯარო სკოლის პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა რეპატრიარტი ახალგაზრდების ინტეგრირება საზოგადოებასთან.

სამტრედიის რაიონული პროკურატურის წარმომადგენლებმა, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის ,,არა ფემიციდს“ ფარგლებში, გამართა შეხვედრა მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისთვის, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის.

შსს-ს წარმომადგენელმა, შეხვედრა გამართა მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან, საჯარო მოხელეებთან, ბაგა-ბაღების გაერთიანების თანამშრომლებთან და სკოლის პედაგოგებთან. შეხვედრაზე მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ძალადობაზე, ძალადობის ფორმებზე, სამართლებრივი დაცვის მექანიზმებსა და ელექტრონული სამაჯურის გამოყენების ეფექტიანობის შესახებ.

ქალთა ფონდი ,,სოხუმი“ს მიერ, მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შედეგად არაერთი აქტივობა განხორციელდა. ჩატარდა შემაჯამებელი შეხვედრა ახალგაზრდებთან, სადაც სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია თემაზე - ,,არა ბულინგს“, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებს გაეწიათ უფასო იურიდიული და ფსიქოლოგიური მომსახურეობა, ასევე, ძალადობის მსხვერპლ ქალებს გადაეცა მობილური ტელეფონები, რომელშიც ჩატვირთული იყო SOS აპლიკაცია და ასევე სასურსათო ამანათები.

შშმ ქალთა ეროვნული ქსელის მიერ, გაიმართა შეხვედრა იმერეთის რეგიონის წარმომადგენლებთან. შეხვედრაში მონაწილეობას ვღებულობდით ხუთი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და საუბარი იყო შშმ ქალთა გაძლიერებაზე.

მომხსენებელმა და საბჭოს წევრებმა კმაყოფილება გამოხატეს განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით.

ინფორმაცია მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ისაუბრა 2023 წლის, მეორე კვარტალში განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ.

განიხილეს სამოქმედო გეგმის საფუძველზე, მეორე კვარტალში განსახორციელებელი ღონისძიებები. გარდა გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა, საბჭოს წევრთა მიერ გამოითქვა მოსაზრებები და შემოვიდნენ ინიციატივით.

ლევან გაბეჩავამ, გამოთქვა სურვილი და მზადყოფნა, რათა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 105 წლისთავთან დაკავშირებით, სამტრედიის მოსწავლეთა პარლამენტის წევრებთან გავმართოთ შეხვედრა, სადაც ისაუბრებს პირველ კონსტიტუციაზე, გენდერზე, ტოლერანტობაზე.ასევე, ფემინისტი ქალების - კატო მიქელაძისა და დარია ქაჯაიას შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარე, ნათია პაპავამ განაცხადა, რომ მოიძია სპონსორი, რომლის ხელშეწყობითაც, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, საბჭოს წევრებს საშუალება გვექნებათ, ბავშვებს დაურიგოთ ტკბილეული.

საბჭოს წევრთა ინიციატივა მოწონებულ იქნა.

ინფორმაცია მიღებულია ცნობად.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: თამილა კეკელიძე

ნათია პაპავა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალური გენდერული
თანასწორობის საბჭო-სამტრედიის მუნიციპალური
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი